

გამოკვლევები ბუნებრივი ლუმინოფორის - ნორიოლის თვისებების გაუმჯობესების მიზნით

თორნიკე კოტუა

ელ-ფოსტა: Tornike.kotua290@ens.tsu.edu.ge

ქიმიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი 0179, საქართველო

შემუშავებულია ნავთობსადენის ნარჩენებიდან ლუმინოფორული ნარევის გამოყოფის ახალი მეთოდი ვაკუუმში გამოხდის და ადსორბენტების გამოყენების გარეშე. ნარჩენიდან მიღებული ლუმინოფორული ნარევიდან და „ნორიოლიდან“ ფისოვანი მინარევების მოსაცილებლად შემუშავებულია ორი მეთოდი: ა) ქრომატოგრაფია სვეტში - ადსორბენტი სილიკაგელი, ელუენტი პეტროლეინის ეთერი; ბ) გარეცხვა კონც. გოგრიდმჟავით. ნაჩვენებია, რომ ნავთობსადენის ნარჩენიდან მიღებულ ლუმინოფორი და „ნორიოლი“ შესაბამისად 50 და 40% არამნათ ფისოვან მინარევებს შეიცავენ. ამ მინარევების მოცილების შემდეგ მათი თვისებები, კერძოდ ნათების ინტენსიურობა, მკვეთრად უკეთესი ხდება. ამ მიზნით შერჩეულია კიდევ ორი სხვა გზა: ა) ქიმიური მოდიფიცირება ნარევების ნიტრირებით, ნიტრონაერთების აღდგენით და მიღებული ამინების კონდენსაციით არომატულ აღდებობებთან; ბ) „ნორიოლთან“ წინასწარ მიღებული ბის-არილაზომეთინური შუღლებული სისტემების შემცველი ნაერთების შერევა.